თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ზურაბ მეზვრიშვილი (პ/ნ 01017010224), თანახმა ვარ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N34-ის შიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი N2, ნაკვეთი N3, ნაკვეთი N4), არსებულ მიწის ნაკვეთზე #5056817 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის ნებართვა #5096942) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია #AR1831768 განცხადებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

ასევე თანახმა ვარ სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში ფართის, ვიზუალის და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე შპს „სანო 2015“-მა (ს/კ 405137766) მოახდინოს აღნიშნული პროექტის კორექტირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში.

ზურაბ მეზვრიშვილი ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N210714593

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 09.07.2021 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო ბიუროს მისამართი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 63083889326921

საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის ცხრა ივლისს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართა: ზურაბ მეზვრიშვილმა რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზურაბ მეზვრიშვილმა (დაბ. 30.05.1952 წელს გორში, პირადი N01017010224, პ/მ N15IA02028 გაცემული 09.12.2015 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, არსენას ქუჩა, N 27) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე.

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის ერთი ეგზემპლარისთვის (1 ხელმოწერა) 2,00 ლარი + საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ: 0,36 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ჩვენ ამხანაგობა მეგა 4-ის წევრები:

ავთანდილ მეგრელიშვილი (პ/ნ 01009008428), თავმჯდომარე.

მაია ცინცაძე (პ/ნ 01009002129),

თამთა მეგრელიშვილი (პ/ნ 01009021065)

მარიტა მეგრელიშვილი (პ/ნ 01008048319)

თანახმა ვართ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N34-ის შიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი N2, ნაკვეთი N3, ნაკვეთი N4), არსებულ მიწის ნაკვეთზე #5056817 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის ნებართვა #5096942) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია #AR1831768 განცხადებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

ასევე თანახმა ვართ სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში ფართის, ვიზუალის და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე შპს „სანო 2015“-მა (ს/კ 405137766) მოახდინოს აღნიშნული პროექტის კორექტირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში.

ავთანდილ მეგრელიშვილი ---

მაია ცინცაძე ---

თამთა მეგრელიშვილი ---

მარიტა მეგრელიშვილი ---

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210725731
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ოძელაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი 7ა-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725572
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	70371165350421

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდაერთი წლის ცამეტ ივლისს, მე, მარიამ ოძელაშვილს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №7ა-ს მიმდებარე ტერიტორია, მომმართეს მოქალაქეებმა **ავთანდილ მეგრელიშვილმა**, მაია ცინცაძემ, თამთა მეგრელიშვილმა და მარიტა მეგრელიშვილმა რომლებმაც მოითხოვეს თანხმობაზე თავიანთი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ავთანდილ მეგრელიშვილმა** (დაბ.: 03.03.1963 წელს ჩოხატაურში, პირადი №01009008428, მცხ.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, კორ. ა, ბ. 39), მაია ცინცაძემ (დაბადებული 13.05.1962 წ. თბილისში, პირადი №01009002129, მცხ.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71, კორ. ა, ბ. 39), თამთა მეგრელიშვილმა (დაბ.: 28.04.1987 წელს ჩოხატაურში, პირადი №01009021065, მცხ.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, კორ. ა, ბ. 39) და მარიტა მეგრელიშვილმა (დაბ.: 18.12.1990 წ. თბილისში, პირადი №01008048319, მცხ.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71, კორ. ა, ბ. 39) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერა მათ მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე, რომლის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი მარიამ ოძელაშვილი პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური ერთი ეგზემპლიარისთვის: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 9,44 ლარი დღგ-ს ჩათვლით, აგრეთვე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 ლარი 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი: /მარიამ ოძელაშვილი/

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე ამხანაგობა მეგა 4-ის თავმჯდომარე ავთანდილ მეგრელიშვილი (პს 01009008428), თანახმა ვარ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N34-ის მიმდებარე კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი N2, ნაკვეთი N3, ნაკვეთი N4), არსებულ მიწის ნაკვეთზე #5056817 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის ნებართვა #5056817) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია #AR1831768 განცხადებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

ასევე თანახმა ვარ სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში ფასადის, ვიზუალის და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე შპს „სანო 2015" (ს/კ 405137766) მოახდინოს აღნიშნული პროექტის კორექტირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში.

ავთანდილ მეგრელიშვილი

http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=1&a010=75...

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210725181
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ოძელაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი 7ა-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725572
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	63340782214621

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდაერთი წლის ცამეტ ივლისს, მე, მარიამ ოძელაშვილს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №7ა-ს მიმდებარე ტერიტორია, მომმართა მოქალაქე ავთანდილ **მეგრელიშვილმა**, რომელმაც მოითხოვა თანხმობაზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ავთანდილ **მეგრელიშვილმა** (დაბ.: 03.03.1963 წელს ჩოხატაურში, პირადი №01009008428, მცხ.: თბილისი, ვეფხვაველას გამზ. 71, კორ. ა, ბ. 39) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა მის მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე, *რომლის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე, მე ნოტარიუსი მარიამ ოძელაშვილი პასუხს არ ვაგებ.*

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური ერთი ეგზემპლიარისთვის: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებას 31-ე მუხლის 2.36 ლარი დღგ-ს ჩათვლით, აგრეთვე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 ლარი 30-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი: /მარიამ ოძელაშვილი/

Tue 13.07.21, 11:40 AM

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ცისანა ქობულაძე (პ/ნ 01008010620), თანახმა ვარ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N34-ის შიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი N2, ნაკვეთი N3, ნაკვეთი N4), არსებულ მიწის ნაკვეთზე #5056817 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის ნებართვა #5096942) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია #AR1831768 განცხადებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

ასევე თანახმა ვარ სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში ფართის, ვიზუალის და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე შპს „სანო 2015“-მა (ს/კ 405137766) მოახდინოს აღნიშნული პროექტის კორექტირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში.

ცისანა ქობულაძე ---

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210733548
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე მარშანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42063113889121

საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის თოთხმეტ ივლისს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართა: ცისანა ქობულაძემ რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ცისანა ქობულაძემ (დაბ. 04.06.1944 წ. ხარაგაულში, პირადი #01008010620, პ/მ#13IL38997 გაცემული 01.06.2015 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 78, ბინა 94) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის ერთი ეგზემპლარისთვის (1 ხელმოწერა) 2,00 ლარი + საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ: 0,36 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება

(ამხანაგობა -„მეგა 4“)

ქ. თბილისი „01“ ნოემბერი 2017წ.

ამ ხელშეკრულების მონაწილეებმა ფიზიკურმა პირებმა ავთანდილ მეგრელიშვილმა (პ/ნ 01009008428, დაბ. 03.03.1963 წელს) , მაია ცინცაძემ (პ/ნ 01009002129, დაბ. 13.05.1962 წელს), თამთა მეგრელიშვილმა (პ/ნ 01009021065, დაბ. 28.04.1987 წელს) და მარიტა მეგრელიშვილმა (პ/ნ 01008048319, დაბ. 18.12.1990 წელს)

შემდგომში „მხარეებად“ წოდებულებმა, დადეს ეს ხელშეკრულება მოგებაზე არაორიენტირებული ამხანაგობის შექმნის მიზნით და შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოგებაზე არაორიენტირებული ერთობლივი საქმიანობის- ამხანაგობის სახელწოდებად განისაზღვროს „მეგა4“;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას სამეურნეო ან სხვა მიზნით გააერთიანონ თავისი შენატანები, ერთად იმოქმედონ იურიდიული პირის შექმნის გარეშე და მოგებაზე არაორიენტირებული ამხანაგობის სახელით განახორციელონ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქალაქ თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი #34-ის შიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ, ნაკვეთი #2, ს/კ01.14.03.042.022 .

1.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეიტანონ ერთობლივ საქმიანობაში შემდეგი შენატანები:

1.2.1. ავთანდილ მეგრელიშვილის შენატანს წარმოადგენს

ა) უძრავი ქონება მდებარე ქალაქ თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი #34-ის შიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ, ნაკვეთი #2, ს/კ 01.14.03.042.022 და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განმავლობაში განხორციელებული სხვა ფულადი შენატანები;

1.2.2. მაია ცინცაძის, თამთა მეგრელიშვილის და მარიტა მეგრელიშვილის შენატანს წარმოადგენს:

ა) ინტელექტუალური შრომა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განმავლობაში განხორციელებული სხვა ფულადი შენატანები;

მაია ცინცაძე მარიტა მეგრელიშვილი

თამთა მეგრელიშვილი

2. მართვა და ერთობლივ საქმეთა წარმოება

2.1. ერთობლივი საქმიანობის მართვა ხორციელდება მხარეების მიერ არჩეული თავმჯდომარის მიერ ;

2.2 ერთობლივი საქმიანობის-ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეული იქნეს ავთანდილ მეგრელიშვილი;

2.3. მესამე პირებთან ურთიერთობებში თავმჯდომარის უფლებამოსილება - განახორციელოს გარიგებები მხარეების სახელით დასტურდება თავმჯდომარის მიერ გაცემული მინდობილობით.

2.4. მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებენ თავად მხარეები.

2.5. ყოველ მხარეს, დამოუკიდებლად იმისა, აქვს თუ არა მას ერთობლივი საქმეების წარმოების უფლებამოსილება, აქვს უფლება გაეცნოს საქმეთა წარმოების მთელ დოკუმენტაციას და აგრეთვე მიიღოს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

3. მხარეების საერთო ქონება

3.1. მონაწილეთა მიერ შემოტანილი ქონება, რომელიც მათ ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით და ერთობლივი საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქცია, ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული ნაყოფი მიიჩნევა მათ საერთო საკუთრებად, თუ ამ ხელშეკრულებით და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.2. მონაწილეთა მიერ შეტანილი ქონება, რომელსაც ისინი ფლობენ საკუთრების უფლებისგან განსხვავებული საფუძვლით, გამოიყენება მხარეთა ინტერესში და მათ საერთო საკუთრებაში მყოფ ქონებასთან ერთად შეადგენს საერთო ქონებას.

3.3. მონაწილეთა საერთო ქონებით სარგებლობა ხდება მათი ერთობლივი თანხმობით, ხოლო თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

3.4. მონაწილეთა ვალდებულება საერთო ქონების მოვლა-პატრონობის თაობაზე და ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი ნაწილდება ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეთა შენატანების პროპორციულად.

3.5. მონაწილეთა შენატანები საერთო საკუთრებაში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის მიიჩნევა თანაბრად.

4. შემოსავლების განაწილება

მარია წიწკარ ავთანდილ მეგრელიშვილი

ვანდალ ჯაფარიძე თამთა მეგრელიშვილი

4.1. ერთობლივი საქმიანობის შედეგად აშენებული საცხოვრებელი სახლის ფართების განაწილება მოხდება მხარეთა მიერ განხორციელებული ფულადი შენატანების პროპორციულად;

4.3. ერთობლივი საქმიანობის შედეგად აშენებული საცხოვრებელი ფართის განაწილება ხდება ზემოთმითითებული წესით თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან.

5. ამხანაგობიდან გასვლა

5.1. მონაწილეს, თუ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის განსაზღვრული ერთობლივი საქმიანობის ვადა, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე, თუ ამით ზიანი არ მიადგება ერთობლივ საქმიანობას.

5.2. ერთ-ერთი მონაწილის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად, გამსვლელი მონაწილილ წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის და გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით.

6. წილების გასხვისების წესი

6.1. მონაწილეებს უფლება აქვთ თავისუფლად განაგონ მათი კუთვნილი წილები საერთო წილობრივ საკუთრებაში მეორე მხარის მიერ ასეთი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დაცვის პირობით.

6.2. წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე.

7. მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრული ვადით 2018 წლის დეკემბრამდე.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით;

8.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანები (გარდა ინტელექტუალური შრომისა) უბრუნდებათ მხარეებს;

8.2. ამ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

8.3. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შესრულდეს მხარეების მიერ წერილობითი ფორმით და მათი ხელმოწერით.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად - თითოეული მხარისთვის.

9.2. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.3. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

10. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები

1) ავთანდილ მეგრელიშვილი

ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-2 კვარტალი, კორ 31, ბინა 39

---

2) მაია ცინცაძე

ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-2 კვარტალი, კორ 31, ბინა 39

მაია ცინცაძე

3) თამთა მეგრელიშვილი

ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-2 კვარტალი, კორ 31, ბინა 39

თამთა მეგრელიშვილი

4) მარიტა მეგრელიშვილი

ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-2 კვარტალი, კორ 31, ბინა 39

მარიტა მეგრელიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171280652
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.11.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ოძელაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი 7ა-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725572
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60564538324417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის პირველ ნოემბერს, მე, მარიამ ოძელაშვილს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №7ა-ს მიმდებარე ტერიტორია, მომმართეს მოქალაქეებმა: **ავთანდილ მეგრელიშვილმა**, **მაია ცინცაძემ**, **თამთა მეგრელიშვილმა** და **მარიტა მეგრელიშვილმა**, რომლებმაც მოითხოვეს თავიანთი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ავთანდილ მეგრელიშვილმა** (დაბ.: 03.03.1963 წელს ჩოხატაურში, პირადი №01009008428, პ/მ №15IE00496, გაც.: 27.07.2016 წ იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ.: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 31, ბინა 39), **მაია ცინცაძემ** (დაბ.: 13.05.1962 წელს თბილისში, პ/მ №ბ 1361838, პირადი №01009002129, გაც.: 02.03.2010 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ, მცხ.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 31, ბ. 39), **თამთა მეგრელიშვილმა** (დაბადებული 28.04.1987 წ. ჩოხატაურში, პ/მ №15IB45415, პირადი №01009021065, გაც: 30.05.2016 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 31, ბინა 39) და **მარიტა მეგრელიშვილმა** (დაბადებული 18.12.1990 წ. თბილისში, პ/მ №12IA00651, პირადი №01008048319, გაცემული 02.07.2012 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 31, ბინა 39) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე ასევე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერა მათ მიერ წარმოდგენილ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე (ამხანაგობა „მეგა 4"), რომლის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი მარიამ ოძელაშვილი პასუხს არ ვაგებ.

ნოტარიუსის საზღაური: 32 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ: მუხლი 31 და + 2 ლარი (მუხლი 39; რეგისტრაციის საფასური)

ნოტარიუსი: /მარიამ ოძელაშვილი/



უძრავი ქონების ნასყიდობის და მასზე სანახვრებელი
კორპუსის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულება

ქ. თბილისი

6 თებერვალი 2020

ერთის მხრივ, ცისანა ჭობულაძე (პ/ნ 01008010620), ზურაბ მეზვრიშვილი (პ/ნ 01017010224), ე.ს. ამხანაგობა „მეგა4" (შემდგომში - გამყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „სანო 2015" (ს/კ 405137766), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა სანიკიძის მიერ (შემდგომში - მყიდველი), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ნასყიდობის საგანია ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გაშზირი #34-ის მიდა კვარტალში, 101-ე სკოლის მოპირდაპირედ(ნაკვეთი#2; #3; #4) მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი 1800 კვ.მ, საკადასტრო კოდი - 01.14.03.042.416 [მხარეთა მიერ ნასყიდობის საგანი შეფასებულია 1500000 ლარად და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის და მისი სამსახურების მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა (ბრძანების ნომერი N 5096942; AR1762411), სამშენებლო პროექტი(ბრძანების ნომერი: N 5056817; AR1745749), პირობები და ყველა სხვა მასთან დაკავშირებული უფლება.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ნასყიდობის საგანი გადადის მყიდველის საკუთრებაში და უქმდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ვალდებულება (რეგისტრაციის N 882020236256, რეგისტრაციის თარიღი: 07/05/20), ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას სამშენებლო ნებართვის, პროექტის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და გადასცეს გამყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება საკუთრებაში. ამასთან მხარეები თანხმდებიან , რომ გამყიდველს არ ევალება მიიღოს მონაწილეობა რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოებში, მას უფლება აქვს შეამოწმოს მშენებლობის დროული მიმდინარეობა და ხარისხი.

მუხლი 2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

2.1. ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.14.03.042.416) და მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა სახის ნებართვა და უფლება, რომელიც გადავა მყიდველის საკუთრებაში.

2.2. ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდა მოხდება, მყიდველის მიერ ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში 1460.00 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის და 4 ერთეული ავტოფარეხის გამყიდველისათვის გადაცემით. ფართების გადაცემა მოხდება შემდეგი პროპორციით:

გამყიდველი	მისაღები ჯამური ფართი კვ.მ. ტიხრების გარეშე	ბინების ნომერი (სამშენებლო პროექტის სართულების გეგმის შესაბამისად)	ავტოსადგომი ნიშნული: -6.00
ცისანა ქობულაძე (პ/ნ 01008010620)	1460 კვ.მ.	#56; #57; #58; #59; #63; #65; #66	
ზურაბ მეზვრიშვილი (პ/ნ 01017010224)		#28; #29; #30; #31; #33; #34; #35; #36; #37; #38; #39	
ე.ს. ამხანაგობა „მეგა4“		#41; #42; #43; #46; #47; #48; #49	#6; #7; #8; #9

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა ნასყიდობის საგანი და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება ვალდებულება გამყიდველისათვის ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად ფართების გადაცემის თაობაზე. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის განმავლობაში მყიდველი მოახდენს მშენებარე ფართების განშლას და გამყიდველს საკუთრებაში გადასცემს მშენებარე ფართებს. განშლის რეგისტრაციის შედეგად მყიდველის საკუთრებაში გადაცემულ ფართებზე ვალდებულება დაიტვირთება 2.4 პუნქტის შესაბამისად.

2.4 მყიდველს ეკრძალება მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვა, გაყიდვა, იპოთეკით დატვირთვა ან განხვისება. მყიდველი ვალდებულია საკუთარი სახსრებით ააშენოს საცხოვრებელი კორპუსის პირველი (ხუთი) სართული (იგულისხმება მიწის ქვემოთ მდებარე 2 სასარდაფე და 1 ავტოსადგომის, ასევე მიწის ზემოთ მდებარე 2 ავტოსადგომის სართულები, -12,00 ნიშნულიდან 0,00 ნიშნულის ჩათვლით). იგი უფლებამოსილი იქნება საცხოვრებელი კორპუსის კარკასის დასრულებამდე იპოთეკით დატვირთოს, გაყიდოს ან გაასხვისოს მის საკუთრებაში დარეგისტრირებული ფართებიდან 1000 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. საცხოვრებელი კორპუსის შავი კარკასის დასრულების შემდეგ იპოთეკით დატვირთოს, გაყიდოს ან გაასხვისოს მის საკუთრებაში დარეგისტრირებული ფართების მხოლოდ 90%. საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სრულად დასრულებამდე მყიდველს არ ექნება მისი კუთვნილი ფართების 10%-ის რეალიზაციის ან უფლებრივად დატვირთვის უფლება, მშენებლობის სრულად დასრულების შემდგომ ექსპლუატაციაში მიღებამდე კუთვნილი ფართების 5%-ის რეალიზაციის ან უფლებრივად დატვირთვის უფლება.

2.5. საცხოვრებელ კორპუსში გამყიდველის საკუთრებაში არსებული ფართები უნდა დარეგისტრირდეს 2.3 პუნქტში მითითებულ ვადაში, ხოლო გადაცემა განხორციელდება ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსის დასრულებისა და ექსპლოატაციაში მიღების შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 7 ოქტომბრისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველი გამყიდველს ფართების გადაცემამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდის მიწის ღირებულების 0,2%-ს, მაგრამ არა უმეტეს მიწის ღირებულების 10%-სა. ამშენებული საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებისა და გამყიდველისათვის ფართების გადაცემის შემდეგ ნასყიდობის საგანი - მიწა წარმოადგენს ყველა იმ პირთა საერთო საკუთრებას , ვინც საკუთრების უფლებით ამ სახლში ფლობს უძრავ ქონებას.

2.6. გამყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული ფართები უნდა გადაეცეს შავი კარკასის მდგომარეობაში, რაც გულისხმობს შემდეგს:

ბინის კონტურის კედლები ამოყვანილი, ბინის შიდა ტიხრები ამოყვანილი; ბინის გარე პერიმეტრზე - ჩასმული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა; შესასვლელი რკინის კარები - ჩასმული; წყლის, ელ. ენერგიის, გაზის და კანალიზაციის კვანძები ბინამდე მოყვანილი; წყლის, გაზის და დენის მრიცხველები დამონტაჟებული(აბონენტის დარეგისტრირების საფასურს გადაიხდის ბინის მესაკუთრე); მოწესრიგებული სადარბაზო, კიბის უჯრედი (ფილები დაგებული, მოაჯირები დამონტაჟებული, სამღებრო სამუშაოები დასრულებული და ა.შ.), ფასადი, სახურავი და ლიფტი; კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებული.

მყიდველი ვალდებულია საცხოვრებელი სახლი ააშენოს ხარისხიანი და გამძლე მასალებით, კვალიფიციური მუშახელის და ტექნიკის გამოყენებით, ასევე გადაიხადოს ყველა საჭირო ხარჯი მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე. მყიდველი ასევე ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით აწარმოოს მშენებლობა და განახორციელოს სამშენებლო ზედამხედველობა.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ შეთანხმებული პროექტის და ბრძანების შესაბამისად. ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს(მშენებელს).

2.7. მყიდველი (შ.პ.ს. „სანო2015“) მისი დირექტორის (ზ.სანიკიძის) სახით ადასტურებს, რომ შ.პ.ს. „სანო2015“ შექმნილია ჯონვრეტულად 2.1 პუნქტში მითითებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული პროექტის შესაბამისი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად, საამისოდ გააჩნია სათანადო ფინანსური სახსრები და რაიმე სხვა ვალდებულება არ გააჩნია. მყიდველი (შ.პ.ს. „სანო2015“) საცხოვრებელი კორპუსის ექსპლოატაციაში მიღებამდე დაკავებული იქნება მხოლოდ აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობით და მასთან დაკავშირებული საქმიანობით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მშენებლობის პროცესში საცხოვრებელი კორპუსის ექსპლოატაციაში მიღებამდე გამყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაეცნოს მყიდველის ფინანსურ მდგომარეობას და გააკონტროლოს იგი (თანხების მოძრაობა, მისი მიზნობრიობა და ეფექტიანობა).

2.8. მყიდველი ვალდებულია საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სრულად დასრულებამდე მის საკუთრებაში არსებული ფართების 90%-ის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები მოახმაროს მხოლოდ აღნიშნული კორპუსის მშენებლობასა და კეთილმოწყობას. მხარეები თანხმდებიან, რომ საცხოვრებელი სახლის სრულად დასრულებამდე, მყიდველის მიერ არ მოხდება მისი კუთვნილი ფართების 10%-ს რეალიზაცია ან უფლებრივად დატვირთვა, მშენებლობის სრულად დასრულების შემდგომ ექსპლუატაციაში მიღებამდე კუთვნილი ფართების 5%-ის რეალიზაცია ან უფლებრივად დატვირთვა.

2.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ბინების დამხმარე სათავსოების ფართები (აივნის ჩათვლით) ჩაითვლება საერთო ფართში, ხოლო აზომვა განხორციელდება შიდა პერიმეტრიდან შიდა ტიხრების ფართის გარეშე. კიბის უჯრედი, სადარბაზოები, კორიდორები, ლიფტები და ა.შ. არ განეკუთვნება ბინების დამხმარე სათავსოებს. ამასთან საერთო კორიდორებიდან გამოყენებული მცირე ფართები არ ჩაითვლება გამყიდველისათვის გადასაცემი ფართების რაოდენობაში.

2.10. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში მყიდველმა არ დაიწყო მშენებლობა და/ან 1 წლის განმავლობაში ვერ შეძლო საცხოვრებელი კორპუსის 6 (ექვსი) სართულის აშენება, მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გადადის გამყიდველის საკუთრებაში და მყიდველს მშენებლობაზე გაწეული დადასტურებული ხარჯი დაუბრუნდება მშენებარე ობიექტის სხვა ინვესტორზე გასხვისების შემთხვევაში

3. მხარეთა უფლებები

3.1. გამყიდველი უფლებამოსილია:

- მყიდველს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება;
- მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან/და ზიანის ანაზღაურება.

3.2. მყიდველი უფლებამოსილია:

- გამყიდველს მოთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება
- გამყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან/და ზიანის ანაზღაურება.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. გამყიდველი ვალდებულია:

- წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მთავრდება გამყიდველის ვალდებულებები, ხოლო მშენებლობის პროცესში შესაძლო წარმოშობილი ფორმალობების მოსაწესრიგებლად მისი შესაძლებლობების ფარგლებში პირადად დაეხმაროს ფორმალობების მოსაწესრიგებლად.

4.2. მყიდველი ვალდებულია:

- საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ნასყიდობის საგანზე დამტკიცებული პროექტითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის წარმოება და მისი ექსპლოატაციაში მიღება;

მშენებლობის პროცესში არასათანადო ხარისხის სამშენებლო მასალებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, თავისი ხარჯით გამოასწოროს ხარვეზი;

გადაიხადოს სამშენებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონით დადგენილი ყველა გადასახადი;

წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გამყიდველს საკუთრებაში დაურეგისტრირის მისაღები ფართები, ხოლო საცხოვრებელი სახლის აშენების და ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადასცეს გამყიდველს კუთვნილი ფართები.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეწყვეტის წესი და პირობები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულება მოქმედებს მყიდველის მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე და საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებამდე;

5.3. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადამდე, მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებული შესაბამისი გარემოებების დადგომის შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზარალისათვის.

7. დავის განხილვის წესი

7.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა, გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით;

7.2. შეუთანხმებლობის შემხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

8. განსაკუთრებული პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა ამომწურავ შეთანხმებას და მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით.

8.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ის შეთანხმება, ცვლილება ან დამატება რომელიც გაფორმებული იქნება მხარეთა შორის და ხელმოწერილი იქნება უფლებამოსილი პირების მიერ, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილს და მხარეებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯებს გადაიხდის მყიდველი.

8.4. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროისათვის მათთვის ცნობილი არ არის სხვა ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მყიდველს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

8.5. ფორს-მაჟორული გარემოებებისას მხარეებს გადაუვადდებათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

8.6. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, საიდანაც ორი გადაეცემა მხარეებს, ხოლო მესამე ეგზემპლარი რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამყიდველი:

ზურაბ მეზვრიშვილი (პ/ნ 01017010224)

ცისანა ჭოხელაძე (პ/ნ 01008010620)
წარმოდგენილი მინდობილი პირის

(პ/ნ 01008010441) მიერ

ეს ამხანაგობა „მეგა4“-ის წევრები:

პ/ნ 01008048319

პ/ნ 01009021065

პ/ნ 01009008428 ეკატერინე მექვაბიშვილი

წარმომადგენელი მაია წიკლაური 01009002129 მ.წიკლ

პ/ნ 01009002129 მაია წიკლაური

მ.წიკლ

მყიდველი
შპს „სანო2015" (ს/კ405137766)

დირექტორი: ზაზა სანიკიძე
(პ/ნ 61005004405)

ზაზა სანიკიძე

...რო
...ნტო
...ი წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უბანი №768
თარიღი 06 ოქტომბერი 20.. წ.
[illegible] ხელმოწერა